განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საიჯინრო სასწავლებელი „ანრი“-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საზღვაო ნავიგაციის შესახებ

შეფასების თარიღ(ებ)ი 5-6 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი 17.10.2017

თბილისი
2017

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საიჟინრო სასწავლებელი ანრი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**245539403**
დაწესებულების სახე	კოლეჯი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზღვაო ნავიგაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საზღვაოსნო მეცნიერებათა ბაკალავრი 1110
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ავტორიზებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შოთა კუნჭულია, ბსსა ემერიტუსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინა რზგოევა,საქართველოს საზღვაო სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გივი ციცქიშვილი,ბსსა ასოცირებული პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა დიასამიძე, ბსსა კურსდამთავრებული, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი დაარსდა 2000 წლის ივნისში,როგორც შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი“, 2005 წლის აგვისტოში , სასწავლებელმა შეიცვალ სახელწოდება და დაფუძნდა, როგროც შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი ანრი“, ხოლო 2014 წლის 01 ივლისიდან მას ეწოდება:
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი.
2010 წლის 01 აპრილიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №248 საფუძველზე, შემდგომ 2015 წლის 23 თებერვალს #4 გადაწყვეტილებით შპს ბუსსს ანრის მიეცა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია, საბაკალავრო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემდეგ სპეციალობებზე:
- უმაღლეს (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალობით - საზღვაოსნო მეცნიერებები: **საზღვაო ნავიგაცია** და **გემის მექანიკა;**

სასწავლებელს საკუთრებაში აქვს ერთ მისამართზე განლაგებული – 1484 კვ.მ. მიწის ერთიანი ფართი – 6 სართულიანი სასწავლო კორპუსი საერთო ფართით 3200,50 კვ.მ. მის გვერდით მდებარეობს მეორე კორპუსი, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 570,7 კვ.მ., რომელშიც სტუდენტთა და მასწავლებელთა საერთო საცხოვრებელია განთავსებული. სასწავლო ფართი მოიცავს: აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, კომპიუტერულ კლასს, ბიბლიოთეკას, სპორტულ დარბაზს, პროფესორ–მასწავლებელთა ოთახს, სამანქანე განყოფილებასა და მასთან არსებულ სასწავლო სახელოსნოებსა და საამქროებს (სასწავლო პრაქტიკების ჩასატარებლად), გემის რეალურ ტრენაჟერს, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟერს, სამაშველო ტივსა და კანჯოს; სამედიცინო პუნქტს, სასწავლო-სამგზავრო გემ „კაპიტანი ო. ჩახვაძე“-სა და თბომავალ “PERA”-ს (საიჯარო ხელშეკრულება). სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორებით, სპეციალური სასწავლო ტრენაჟერებით და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამა საზღვაო ნავიგაციის მიზანია მოამზადოს მეზღვაურთა სამეთაურო შემადგენლობის (მართვის დონე) სპეციალისტი, რომლებსაც ექნებათ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საზღვაოსნო მეცნიერებების (საზღვაო ნავიგაცია) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციები; საერთაშორისო სივრცეში პროფესიონალური საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; შეძლებენ სამსახურეობრივი (ნავიგატორის) მოვალეობის შესრულებას, დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებით სამსახურეობრივი სიტუაციების შეფასება-ანალიზს, პრობლემების მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის

გაცნობიერებას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, სამსახურეობრივი ვალდებულებების შესრულებას, გემის მულტინაციონალურ ეკიპაჟთან კომუნიკაციას, ზღვაზე უსაფრთხოების წესების შესრულებას, კარიერულ წინსვლას.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მისი დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჰქონდეს ის კომპეტენციები, რომელიც აუცილებელია:
1. საოკეანო სავაჭრო გემებზე მართვის პასუხისმგებლობის დონის, უფროსი სამეთაურო შემადგენლობის თანამდებობის დასაკავებლად;
2. საზღვაო სავაჭრო, სამგზავრო, თევზსაჭერ, ნავსადგურის დამხმარე ფლოტის და სხვა გემებზე დამხმარე, ექსპლუატაციისა და მართვის დონეებზე;
3. საზღვაო ტრანსპორტის კონტროლთან, ფუნქციონირებასთან და რეგულირებასთან დაკავშირებულ კერძო ან სახელმწიფო დაწესებულებებში მართვის დონის თანამდებობების დასაკავებლად;
4. მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საიჟინრო სასწავლებელი ანრიში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2017 წლის 5-6 ოქტომბერს. ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმდა საბაკალავრო პროგრამები - „საზღვაო ნავიგაცია“, მისი სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსები, პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ნორმატიული დოკუმენტაცია. შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა შეხვედრები რექტორთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან. გადამოწმდა პროგრამაში ჩართული აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა საზღვაო ნავიგაციის მიზანია მოამზადოს მეზღვაურთა სამეთაურო შემადგენლობის (მართვის დონე) სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საზღვაოსნო მეცნიერებების (საზღვაო ნავიგაცია) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციები; პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს. პროგრამის კომპონენტები -სასწავლო კურსის, მოდულების, სილაბუსების შინაარსი მთლიანობაში(ცალკეული შენიშვნების არსებობის პირობებში)

უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; თუმცა აღსაბიშნავია , რომ სწავლების მეთოდები საჭიროებს კორექტირებას. კრედიტების მოცულობა შესაბამისობაშია აროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება ცალკეული ნაკლოვანებების მიუხედავად აკმაყოფილებს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებს, კრედიტები განაწილებულია სხვადასხვა სახის სასწავლო კომპონენტს შორის (როგორიცაა მოდულები, კურსები, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა და ა.შ.). საზღვაოსნო მეცნიერებათა (საზღვაო ნავიგაცია) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა მოაგროვოს არანაკლებ 240 ECTS კრედიტისა. ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს შეუძლია მოიპოვოს 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში). ყოველი სემესტრის ხანგძლივობა შეადგენს 19 კვირას, საიდანაც 15 კვირა – დათმობილია მეცადინეობების ჩატარებაზე, ხოლო 4 კვირა – დათმობილია სტუდენტთა ცოდნის შეფასებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტი აღწერილია სილაბუსში, რომელშიც მოცემულია დისციპლინის მიზანი, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლისათვის საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი, სწავლის შედეგები და შეფასების დეტალური აღწერა. ყოველი დისციპლინის სწავლის მიზანი და შედეგები გამომდინარეობს პროგრამის საკვალიფიკაციო აღწერიდან, ხოლო შეფასების მეთოდები მორგებულია სწავლის შედეგების შეფასებაზე. სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მიუხედავად ცალკეული შენიშვნებისა უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

მიუხედავათ არსებული ნაკლოვანებებისა, სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას, მაგრამ ამ მიმართულებით საჭიროა მიდგომების გაუმჯობესება და გარკვეული კორექტირების ჩატარება; მომავალში სასწავლებელმა უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში;

დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, სასწვლებლში არსებული რესურსები- აუდიტორიები, ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა, სპორტულ დარბაზი, პროფესორ–მასწავლებელთა ოთახი, სამანქანე განყოფილება და მასთან არსებულ სასწავლო სახელოსნოები და საამქროები (სასწავლო პრაქტიკების ჩასატარებლად),

გემის რეალურ ტრენაჟერი, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟერი, სასწავლო-სამგზავრო გემ „კაპიტანი ო. ჩახვაძე“ საკმარისია აღნიშნული საგამანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორებით, სპეციალური სასწავლო ტრენაჟერებით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების განვითარების მხვრივ სასწავლებელს გაწერილია აქვს ყველა პროცესი, ხდება სტრუქტურული ერთეულების აუდიტი და შესაბამისი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე მუშაობა. აუდიტის დასკვნის გატანა ხელმძღვანელობის შემაჯამებელ სხდომაზე, სადაც განიხილება ყველა საკითხი და იგეგმება შემდგომი ქმედებები პროგრამის გასაუმჯობესებლად.. ხარისხის მართვის სისტემა არის მოცემული დაწესებულების ერთ-ერთი ძლიერი მხარე.

რაც შეეხება დარგობრივ მახასიათებელს და კონკრეტულ საერთაშორისო მოთხოვნებს, საგანმანათლებლო პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტების მოთხოვნები და STCW 78/95 საერთაშორისო კონვენციის II თავის A-II/1 სექციაში, გემბანის ექსპლუატაციის პასუხისმგებლობის დონის ოფიცერზე წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (Chapter II, Section A-II/1, Table A-II/1) სრულიად შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-3 მუხლის (კვალიფიკაციათა აღმწერი) მე-5 პუნქტის (უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის სწავლის შედეგები) ა), ბ) და დ) ქვეპუნქტების მოთხოვნებს, ხოლო კონვენციის II თავის A-II/2 სექციაში, გემბანის მართვის პასუხისმგებლობის დონის ოფიცერზე წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (Chapter II, Section A-II/2, Table A-II/2) მე-6 პუნქტის (უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგები) ა), ბ) და დ) ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა, მიუხედავათ რიგი ნაკლოვანებებისა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებს.

- **რეკომენდაციები**
  - საჭიროა ცვლილებები VIII სემესტრის საგნის „კონვენციური საკვალიფიკაციო მოთხოვნებ“-ის მიმართ. იმის გამო რომ არ მოხდეს წინა სემესტრების მოდულებში ნასწავლი საკითხების განმეორება, საკითხები საათების მიხედვით გაიწეროს როგორც თემის პრაქტიკული გამოყენება. (მაგ. გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები(COLREG-72) I განყოფილების წესების პრაქტიკული გამოყენება).

- საჭიროა ელექტრონული რუკა და მისი გამოყენება ისწავლებოდეს 5 კრედიტიან სპეციალურ საგანში, რადგან ამჟამად ელექტრონული რუკის საინფორმაციო სისტემა (ECDIS)-ი დარგის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.
- პროგრამის VIII სემესტრის 5 კრედიტიანი საგანი „საზღვაო საქმე“ რომლის არსი უფრო გავს სპეციალობის შესავალს, უნდა ისწავლებოდეს პირველი კურსის მე-2 სემესტრში.
- რეკომენდირებულია ინგლისური ენის სასწავლო კურსის სილაბუსების გადახედვა და შეფასების ფორმების, მეთოდების, კომპონენტების და კრიტერიუმების ნაწილების კორექტირება, რათა მოხდეს პრაქტიკული/შემეცნებითი უნარების გამოვლენა დარგობრივი მახასიათებლის 1.10 პუნქტის შესაბამისად .
- პროგრამის მიზნები არის ძალიან ზოგადი. შესაბამისად უნდა მოხდეს მათი უფრო დეტალური გაწერა. ამასთან საგულისხმოა , რომ მიზნები უნდა იყოს მიღწევადი.
- შემოწმდეს სილაბუსებში აღნიშნული ლიტერატურის სწორი შერჩევა, რომლითაც რეალურად ხდება სასწავლო პროცესის წარმართვა, აგრეთვე რუსულენოვანი ლიტერატურა უნდა შეიცვალოს ქართული და ინგლისურ ენოვანი წიგნებით.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში ჩასწორდეს - დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა იყოს როგორც ზემოთ ვთქვით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანებით „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების დამტკიცების შესახებ.
- სასურველია საგანში „საზღვაო და სანაპირო ნავიგაცია“ სტუდენტები დამოუკიდებელი მეცადინეობების ნაწილში ასრულებდნენ საშინაო დავალებებს კომპონენტში - საზღვაო გადასვლის დაგეგმვა(Passage Plan), მისი სწავლების შედეგის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

- მნიშვნელოვანია მოხდეს სილაბუსებში გაწერილი რეიტინგული შეფასების, ზეპირი და წერითი გამოცდების შედეგების ჟურნალში რეგისტრაციის პერიოდული შემოწმება, აგრეთვე მთლიანობაში სილაბუსებში გაწერილი სასწავლებლის შეფასების სისტემა არის დასახვეწი.

- სასწავლებელმა ორგანიზება უნდა გაუკეთოს ინდივიდუალურ მეცადინეობებს იმ პირებისთვის, რომლებსაც ესაჭიროება დამატებითი მეცადინეობები. მეცადინეობების დრო წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - მოხდეს საქართველოს საზღვაო სააგენტოსთან შესაბამის განყოფილებასთან(მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ საერთაშორისო კონვენცია STCW-95)- შეთანხმებით საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის IMO-ს ახალი მოთხოვნების, დამატებების და რეკომენდაციების პერიოდული განახლება.
  - ყურადღება მიექცეს ისეთი ლიტერატურის გამოყენებას, რომლებიც მოიძებნება სასწავლებლის ბიბლიოთეკაში ან იმ სასწავლებლებში რომლებთანაც გაფომებულია ხელშეკრულება ბიბლიოტეკის მასალის გამოყენებასთან დაკავშირებით.
  - საჭიროა პროგრამის შემუშავებისა და განხილვისათვის დარგის სპეციალისტებთან და კრუინგულ კომპანიებთან ჩატარებული მუშა შეხვედრების და კონსულტაციების დამადასტურებელი ჩანაწერების არსებობა, ამასთან დაკავშირებული სენატის გადაწყვეტილებები უნდა იყოს აღრიცხული ოქმების სახით.
  - პროგრამაში უნდა ჩაიწეროს გარკვევით თუ რომელ დონეს სთავაზობს პირველ კურსელს სასწავლებელი თუ ის სკოლაში არ სწავლობდა არც რუსულს და არც ინგლისურს.
  - საზღვაო ინდუსტრიის სწრაფი ტექნიკური განვითარების გამო პროგრამაში პერიოდულად მოხდეს ცვლილებების შეტანა, რათა ახალი მოთხოვნები და ინოვაციური მიდგომები სათანადოდ იყოს ასახული პროგრამაში და შესაბამის სილაბუსებში. სასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს ქართულ ენაზე შესრულებული სახელმძღვანელოების და რიდერების გამოშვებას და სტუდენტებისთვის მათ მიწოდებას.
  - სასურველია სასწავლებელმა ხშირად მოაწყოს სტუდენტური კონფერენციები საზღვაო თემატიკაზე. სტუდენტებს აგრეთვე დაევალოს საშინაო დავალებების შესრულება საზღვაო ნავიგაციის სპეციალურ საგნებში.
  - სასურველია პროგრამა ან სილაბული შეიცავდეს ინფორმაციას:

- რა სახით ხორციელდება სიმულატორთან დაკავშირებული ამოცანების/დავალებების შემუშავება, განხორციელება და შეფასება;

- რამდენად შეესაბამება სიმულატორზე დაფუძნებული პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოები უშუალოდ სასწავლო კურსის შინაარსს.

- მიზანშეწონილია დაწესებულებამ სალექციო კურსის წარმართვაში უპირატესობა მიანიჭოს არჩეულ აკადემიურ პერსონალს.

- საჭიროა ხშირად ჩატარდეს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა რეგულარული მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო საშუალებების შეფასების პროცესში.

.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი. ბათუმის უმაღლესი საზღვაო საიჟინრო სასწავლებელი „ანრი“-ს მისიაა საზოგადოების უზრუნველყოფა ინტელექტუალური და კვალიფიციური, მაღალი ზნეობრივი და მორალური ფასეულობების მქონე ადამიანური რესურსებით, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას და მის წარმატებულ საერთაშორისო ინტეგრაციას. მთავარი ფასეულობები:

- აზრის გამოხატვის თავისუფლება;
- პიროვნების დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- პროფესიონალიზმი;
- ღირსების კოდექსის განუხრელი დაცვა;

-შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საიჟინრო სასწავლებელი „ანრი“ - კოლეჯი ახორციელებს უმაღლესი და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად სარგებლობს ორი მთავარი პრინციპით: სტანდარტთან შესაბამისობა და მომხმარებლის არსებული და მოსალოდნელი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ხელმძღვანელობს რა დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებით, განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად სასწავლებელი მიზანმიმართულია ჩამოყალიბდეს სწავლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ, ხელმისაწვდომ უმაღლეს სასწავლებლად, რომელიც თანამშრომლობს საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან; ამავდროულად უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას, სამოქალაქო ღირებულებების განვითარებასა და დასაქმებულობის მაღალ მაჩვენებლებს;

- საერთაშორისო შრომის ბაზრისა და საერთაშორისო საზღვაო კონვენციის STCW სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად ამზადებს მაღალკვალიფიცირებულ, მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრებს როგორც საზღვაო ტრანსპორტის, ასევე საზღვაო სფეროს სხვა დარგებში დასასაქმებლად, რომელთაც ექნებათ პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მაღალი ეთიკური ნორმები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე;

- მუდმივად აწარმოებს სპეციფიკური სფეროს შრომის ბაზრის კვლევასა და ანალიზს კომპეტენტური ორგანიზაციის მიერ (სახელმწიფო, საერთაშორისო, არასამთავრობო და ა.შ.), სტუდენტების/მშობლების, აკადემიური საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევა, ან მცირემასშტაბიანი გამოკითხვა.

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს გემთწამყვანები 3000 და მეტი რეგისრული ტონის საერთო ტევადობის გემის ეკიპაჟებისათვის იმ

კომპეტენციებით, რომელიც აუცილებელია: • საოკეანო სავაჭრო გემებზე მართვის პასუხისმგებლობის დონის, უფროსი სამეთაურო შემადგენლობის, გემთწამყვანის თანამდებობის დასაკავებლად; • საზღვაო ტრანსპორტის კონტროლთან, ფუნქციონირებასთან და რეგულირებასთან დაკავშირებულ კერძო ან სახელმწიფო დაწესებულებებში მართვის დონის თანამდებობების დასაკავებლად; • მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. • საგანმანათლებლო პროგრამის საზღვაო ნავიგაცია საკვალიფიკაციო მოთხოვნები (სწავლის შედეგები) აკმაყოფილებს ერთი მხრივ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს №3 დანართის (უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო) მე-3 მუხლის მოთხოვნებს, ხოლო მეორე მხრივ ეყრდნობა STCW 78/95 საერთაშორისო კონვენციის II თავის A-II/1 და A-II/2 სექციებში, გემბანის ოფიცერზე წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (Chapter II, Section A-II/1, Section A-II/2, Table A-II/1, Table A-II/2).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი); • საზღვაო საიჟინრო სასწავლებელის წესდებით; • სასწავლებლის მისია; • საქართველოს კანონი მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1556226 • სასწავლებლის ვებ-გვერდი http://www.mtc-anri.edu.ge/ • სასწავლო პროცესის მართვის სისტემა http://lms.mtc-anri.edu.ge/index.php • ონლაინ გამოკითხვები http://mtc-anri.edu.ge/text.php?id=16&lang=ge ; • მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ საერთაშორისო კონვენციის ვებ-გვერდი http://www.stcw.org/training.html#Anchor#2 ; • საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ვებ-გვერდი http://www.imo.org/KnowledgeCenter/Pages/Default.aspx;
რეკომენდაციები:
• **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მოხდეს საქართველოს საზღვაო სააგენტოსთან შესაბამის განყოფილებასთან(მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ საერთაშორისო კონვენცია STCW-95)- შეთანხმებით საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის IMO-ს ახალი მოთხოვნების, დამატებების და რეკომენდაციების პერიოდული განახლება.
- პროგრამის მიზნები არ არის ნათლად ჩამოყალიბებული, მიზანშეწონილია იყოს გაზომვადი რაც უზრუნველყოფს მიზნების მიღწევადობის ეფექტურობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

- სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამაში საზღვაო ნავიგაცია კრედიტები განაწილებულია სხვადასხვა სახის სასწავლო კომპონენტს შორის (როგორიცაა მოდულები, კურსები, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა და ა.შ.). საზღვაოსნო მეცნიერებათა (საზღვაო ნავიგაცია) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა მოაგროვოს

არანაკლებ 240 ECTS კრედიტისა, აქედან 180 კრედიტი ეთმობა ძირითადი სპეციალური საგნების სწავლას. ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს შეუძლია მოიპოვოს 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში). ყოველი სემესტრის ხანგძლივობა შეადგენს 19 კვირას, საიდანაც 15 კვირა – დათმობილია მეცადინეობების ჩატარებაზე, ხოლო 4 კვირა – დათმობილია სტუდენტთა ცოდნის შეფასებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტი აღწერილია სილაბუსში, რომელშიც მოცემულია დისციპლინის მიზანი, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლისათვის საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი, სწავლის შედეგები და შეფასების დეტალური აღწერა.

- ამ დარგობრივი კომპეტენციის განსახორციელებლად პროგრამა შეიცავს „საზღვაო ინგლისური ენის“ 5 სასწავლო კურსის სილაბუსს. თითოეულ მათგანში სწავლის ფორმატად არჩეულია ჯგუფური (პრაქტიკული) მუშაობა საკონტაქტო საათების რაოდენობით 45 სთ. ეს კრიტერიუმები არ შეესაბამება აღნიშნული „საზღვაო ინჟინერიის“ დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნებს, სადაც 1.10 დარგობრივი მახასიათებლის „კომპეტენციის მიღწევის სპეციფიკური მეთოდებს“ წარმოადგენს პრაქტიკული დავალებები და ასევე თეორიული სწავლებაც.
- ინგლისური ენის ხუთივე სილაბუსის შეფასების ფორმებში აღწერილი დასკვნითი გამოცდის ბილეთი მოიცავს კომპონენტს - სტუდენტის პირადი/ანკეტური ინფორმაცია, რომლის შესწავლა არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსის შინაარსის მიხედვით.
- ხუთივე სილაბუსის საგამოცდო ბილეთის კიდევ ერთი საკითხი არის ბრძანებები (20 ბრძანება, თითოეული ერთქულიანი). ეს ბრძანებები წარმოადგენს IMO-ს სტანდარტული საზღვაო საკომუნიკაციო ფრაზების (IMO SMCP) ნაწილი. სასწავლო კურსების სწავლების მიზანში და შედეგებში არ ჩანს თუ რა დოზით ისწავლება ეს მასალა თითოეულ სემესტრში, რაც

გაურკვეველს ხდის, რამდენად საკმარისია ამ თემატიკისთვის დათმობილი საათების რაოდენობა მიზნის მისაღწევად და რამდენად შეესაბამება საგამოცდო ბილეთის ეს საკითხი (ბრძანებები) კურსის თემატიკას.

- „საზღვაო ინგლისური 3.1" სილაბუსის ერთ-ერთი მიზნის: შეასწავლოს სტუდენტს ეკიპაჟის წევრების სამსახურეობრივი მოვალეობები, მიღწევა შეუძლებელია, რადგან ეს ელემენტი არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსის თემატიკაში და სწავლების შედეგებში. გარდა ამისა, ეკიპაჟის წევრების სამსახურეობრივი მოვალეობების შესწავლა რეკომენდირებულია განხორციელდეს სხვა საზღვაო სპეციალობის საგანში ქართულ ენაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ ეს მასალა სტუდენტს გავლილი აქვს მე-3 სემესტრის „საზღვაო ინგლისური ენა SN 1.1" კურსის მე-3 კვირეულში (The ship's crew), რომელიც არ წარმოადგენს „საზღვაო ინგლისური 3.1" კურსის სწავლების წინაპირობას.
- პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული უცხო ენას უნდა ფლობდეს იმ დონეზე, რაც აუცილებელია გემის კაპიტნის თანაშემწის ფუნქციონალური მოვალეობების შესასრულებლად (საქმიანი მიმოწერა, საუბრის წარმოება რადიოტელეფონით, სატვირთო, საძიებო, და გადარჩენის ოპერაციებისას კონტაქტის დამყარება) და კომუნიკაციის დასამყარებლად გემის მულტინაციონალურ ეკიპაჟთან, სანაპირო სამსახურებთან, მაგრამ სტუდენტებთან შეხვედრის დროს გამოვლინდა საზღვაო ინგლისური ფრაზეოლოგიის ცოდნა მხოლოდ დამაკმაყოფილებელ დონეზე.
- „საზღვაო ნავიგაცის" სასწავლო კურსის სილაბუსების შემოწმებისას გამოვლინდა, რომ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული „ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების შესახებ 1972 წლის საერთაშორისო წესების შინაარსი, გამოყენება და მიზნების შესწავლა, რაც განსაზღვულია შესაბამისი დაარგობრივი მახასიათებლის N1.3 კომპეტენციის სფეროში: „უსაფრთხო ნავიგაციისა და მის პროცედურების უზრუნველყოფა და

ორგანიზება“ (დარგის ასპექტი № 10). აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განმავლობაში და შეტანილ იქნა შესაბაამისი ცვლილებები. ასევე, გამოვლინდა, რომ დარგობრივი მახასიათებლის 1.5 კომპეტენციის სფეროს „ECDIS ნავიგაციის გამოყენება, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით“, არ ეთმობა აღნიშნული დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული საათების რაოდენობა.

- „გემის მართვა და მანევრირება 2” სილაბუსის მიზანი არ შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. აღწერილი მიზანი უფრო შეესაბამება საზღვაო ნავიგაციის დარგობრივი მახასიათებლის 1.1. კომპეტენციის სფეროს (რეისის დაგეგმვა და განხორციელება, ადგილმდებარეობის განსაზღვრა) მიხედვით შედგენილი კურიკულუმის მიზნებს.
- სასწავლო პროგრამის სპეციალობის კომპონენტების მთავარი შემადგენელი ნაწილია „სასწავლო-საცურაო პრაქტიკა SN“, რომელზეც 30 კრედიტია გამოყოფილი და სრულად ეთმობა მე-5 სემესტრი. იგი ემსახურება კურსდამთავრებულის მომავალი საქმიანობისათვის აუცილებელი დარგობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბებას.
- ასევე, მასწავლებელთან ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ სალექციო მასალის ასახნელად ძირითადად იყენებს სახელმძღვანელოს, რომელიც არ არის შეტანილი სასწავლო კურსის სილაბუსის ძირითად ან დამატებით ლიტერატურაში ვინაიდან ამ გამოცემის ეგზემპლარ(ებ)ის არ მოიპოვება სასწავლებლის ბიბლიოთეკაში.
- საგნის სილაბუსში „საერთაშორისო კონვენციები და საზღვაო სამართალი“ - ძირითად და დამხმარე ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ კონვენციები, თუმცა სწავლის შედეგის მიხედვით საზღვაო სამართალის სასწავლო ლიტერატურა ლიტერატურა უნდა იყოს მითითებული.
- შემოწმების დროს აღმოჩნდა რომ, „გემის მართვა და მანევრირება 1”

კურიკულუმის მიზანი არის ძალიან ზოგადი, რაც გაურკვეველს ხდის რამდენად შეესაბამება მიზნებს ამ დისციპლინის თემატიკა და სწავლების შედეგები. კურიკულუმის სასწავლო თემატიკის პირველ და მეორე კვირაში შესასწავლი მასალა არ შეესაბამება სწავლების მიზნებს. ეს საკითხები უფრო განეკუთვნება „საზღვაო და სანაპირო ნავიგაციის“ თემატიკას და ნაწილობრივ ისწავლება ამ დისციპლინაში. • „გემის მართვა და მანევრირება 1” და „გემის მართვა და მანევრირება 2” კურიკულუმის ძირითად ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოების: „საზღვაო ნავიგაცია“ (ი. შანიძე , ბათუმი 2006 წ.) და „Корректура иностранных морских навигационных карт и пособий“ (И.Л.Иванов, Одесса 2001 г.) შინაარსი არ შეესაბამება სასწავლო კურსის თემატიკას. შესაძლებელია ამ წიგნის გამოყენება დამხმარე ლიტერატურის სახით. • სასწავლო კურსის თემატიკიდან გამომდინარე, შეუძლებაელია მოდულის შესწავლის შედეგად სტუდენტმა იცოდეს სწავლის შედეგებში მითითებული საკითხი, „გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრა სატელიტური მეთოდებით“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა: „საზღვაო ნავიგაცია“-ის აგებულება და სწავლის შედეგები, პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების სილაბუსები; • სასწავლებლის ვებ-გვერდი http://www.mtc-anri.edu.ge/ • სასწავლო პროცესის მართვის სისტემა http://lms.mtc-anri.edu.ge/index.php
რეკომენდაციები: • საჭიროა ინგლისური ენის სილაბუსების გამართვა, რათა მიზნები, თემატიკა, შედეგები და შეფასების ფორმა პასუხობდეს დარგობრივ მახასიათებლებს. • დროის მოცემულ ეტაპზე ელექტრონული ვექტორული რუკის საინფორმაციო სისტემა (ECDIS)-ი დარგის მნიშვნელოვან

კომპონენტს წარმოადგენს, საჭიროა ელექტრონული ვექტორული რუკა და მისი გამოყენება ისწავლებოდეს 5 კრედიტიან სპეციალურ საგანში. • „გემის მართვა და მანევრირება 2” სილაბუსის სწავლების მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის თემატიკასთან . • შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები იმ სილაბუსებისთვის, რომელთა განხორციელებისათვის პროგრამის მატერიალურ რესურსებში მითითებულია სიმულატორები და სპეც. ლაბორატორიები უნდა ფასდებოდეს სიმულატორის ან ლაბორატორიული ინვენტარის გამოყენებით შერულებული პრაქტიკული დავალების მიხედვით. ასევე სასწავლო პროგრამაშიც სასურველია უფრო გაარკვევით იყოს აღწერილი თუ რა პრაქტიკული დავალებები სრულდება სიმულატორებსა და ლაბორატორიებში. • საჭიროა ცვლილებები VIII სემესტრის საგნის „კონვენციური საკვალიფიკაციო მოთხოვნებ“-ის მიმართ. იმის გამო რომ არ მოხდეს წინა სემესტრების მოდულებში ნასწავლი საკითხების განმეორება, საკითხები საათების მიხედვით გაიწეროს როგორც თემის პრაქტიკული გამოყენება. (მაგ. გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები(COLREG-72) I განყოფილების წესების პრაქტიკული გამოყენება).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამა ან სილაბული შეიცავდეს ინფორმაციას, თუ რა სახით ხორციელდება სიმულატორთან დაკავშირებული ამოცანების/დავალებების შემუშავება, განხორციელება და შეფასება; ასევე, რამდენად შეესაბამება სიმულატორზე დაფუძნებული პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოები უშუალოდ სასწავლო კურსის შინაარსს. • ყურადღება მიექცეს ისეთი ლიტერატურის გამოყენებას, რომლებიც მოიძებნება სასწავლებლის ბიბლიოთეკაში ან იმ სასწავლებლებში რომლებთანაც გაფომებულია ხელშეკრულება ბიბლიოთეკის მასალის გამოყენებასთან დაკავშირებით. • შემოწმდეს სილაბუსებში არსებული ლიტერატურის სწორი შერჩევა, რომლითაც რეალურად ხდება სასწავლო პროცესის წარმართვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • საგანმანათლებლო პროგრამის შედგენისას პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამული მიმართულება ეყრდნობოდა იმ ფაქტს, რომ STCW 78/95 საერთაშორისო კონვენციის II თავის A-II/1 სექციაში, გემბანის ექსპლუატაციის პასუხისმგებლობის დონის ოფიცერზე წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (Chapter II, Section A-II/1, Table A-II/1) სრულიად. შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-3 მუხლის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების (კომპეტენციების) მიღწევის შედეგად კურსდამთავრებულს ენიჭება საზღვაოსნო მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. • პროგრამა შესაბამისობაშია „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ სტანდარტების შესახებ“ (STCW-78/95-10) საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნებთან და საქართველოს კანონთან „მეზღვაურთა განათლებისა და სერთიფიცირების შესახებ“ (23.12.2011წ.).

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 240 კრედიტს შეადგენს, აქედან 60 კრედიტი ეთმობა ზოგადი კომპონენტების სავალდებული და არჩევით სასწავლო კურსებს, ხოლო 180 კრედიტი კი ძირითადი სავალდებული და არჩევით სასწავლო კურსებს. სპეციალობის კომპონენტების მთავარი შემადგენელი ნაწილია სასწავლო-საცურაო პრაქტიკა SN, რომელზეც 30 კრედიტია გამოყოფილი. იგი ემსახურება კურსდამთავრებულის მომავალი საქმიანობისათვის აუცილებელი დარგობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბებას. VI-VIII პირობით სემესტრებში გათვალისწინებულია ძირითადი სპეციალობის კომპონენტების კონცენტრაციის ზრდა. პროგრამის ათვისების პროცესში სტუდენტის კომპეტენციები ვითარდება პროგრესირებადი გზით, თანმიმდევრულად და ეტაპობრივად, ახალი კომპეტენციების შეძენით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის, როგორც კომპონენტთა ერთობლიობის, მიზნებისა და შედეგების მიღწევას. • საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (სწავლის შედეგები) პროგრამული მიმართულების მიერ დანაწილებულია დისციპლინებში (მოდულებში) და თითოეულ დისციპლინას განესაზღვრა შესაბამისი კრედიტი, სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო გასაშუალებული დროის მიხედვით. • ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნების მიუხედავად მსგავსად აგებული საგანმანათლებლო პროგრამა, სათანადოდ შერჩეული სწავლების და შეფასების მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა: „საზღვაო ნავიგაცია“ ; • სილაბუსები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2011 წლიდან. პროგრამის აგებისას გათვალისწინებულია საქართველოს ნაციონალური და საზღვაო სფეროში მოქმედი საერთაშორისო კონვენციები და ნორმატიული დოკუმენტები, აქედან გამომდინარე, კურსდამთავრებულები ავტომატურად ხდებიან საერთაშორისო სივრცეში პრაქტიკული მუშაობისთვის მომზადებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც საზღვაო დარგში არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გააჩნიათ საზღვაო ნავიგაციის ფართო

თეორიული ცოდნა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდგომ მიღებული ცოდნა საშუალებას იძლევა გააგრძელოს სწავლა შემდეგი საფეხურის მონათესავე სასწავლო პროგრამებში. • STCW 78/95 კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციისა და მომზადების დონის შესაბამისობას დასაქმების საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში, რაც განაპირობებს კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებით; • დამსაქმებელ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებებით; • დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგებით; • სასწავლებლის ვებ-გვერდი http://www.mtc-anri.edu.ge/ • სასწავლებლის კუთვნილებაში მყოფი სასწავლო გემი თბომავალი „კაპიტანი ო. ჩახვაძე“; • საქართველოს კანონი მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1556226
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია STCW 78/95 კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, რაც არის მეზღვაურთა დასაქმების გლობალური ბაზრის მოთხოვნა, მაგრამ ამავე დროს საზღვაო სასწავლებელი ითვალისწინებს დაინტერესებული პირების, კერძოდ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, დამსაქმებელი კომპანიების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მოსაზრებებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სწავლების მეთოდების ადექვატურობის თაობაზე.
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და ეფექტურ განხორციელებას კოორდინაციას უწევს სასწავლებლის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამაში ჩართული პერსონალი და ადმინისტრაცია ახორციელებს დაინტერესებული მხარეების შეხედულებების კვლევას. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა. ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს დამსაქმებელთა,

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა გამოკითხვებს ზოგადად სასწავლო პროცესის ორგანიზაციასთან და სწავლებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, განიხილება სტუდენტების, მსმენელებისა და მეზღვაურებისაგან შემოსული პრეტენზიების ანალიზი, გაწეული მომსახურების შეფასება, დახასიათება, რეკომენდაციები, შესრულებული და შეუსრულებელი მიზნების მიზან-შედეგობრივი ანალიზი. გამოკითხვის შედეგები მუშავდება და განიხილება სენატის სხდომებზე, რომელიც ასახვას პოულობს ნორმატიულ დოკუმენტში: „ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი“. პროგრამის შემუშავებისა და განხილვისათვის სასწავლებელში ტარდება მუშა შეხვედრები და კონსულტაციები დარგის სპეციალისტებთან და კრუინგულ კომპანიებთან. გამოთქმული მოსაზრებებისა და წინადადებების, ასევე შრომის ბაზრის კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე სენატი იღებს/ან არა გადაწყვეტილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლო ცვლილებათა შეტანასთან დაკავშირებით.

- კრუინგული კომპანიების წარმომადგენლებთან (დამსაქმებლებთან), სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელობა ახორციელებს მათთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სადაც ხდება შთაბეჭდილებების, მოსაზრებების, შეხედულებების გაზიარება. მიუხედავად ამისა, პროგრამის შემუშავებისა და განხილვისათვის დარგის სპეციალისტებთან და კრუინგულ კომპანიებთან ჩატარებული მუშა შეხვედრების და კონსულტაციების დამადასტურებელი ჩანაწერები არ არსებობს. პროგრამის დამტკიცების შესახებ წარმოდგენილ სენატის გადაწყვეტილებაში არ არის ასახული დამსაქმებლების, სტუდენტების ან კურსდამთავრებულების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები; მათი ან შრომის ბაზრის კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლო ცვლილებათა შეტანასთან დაკავშირებით.

- ვიზიტის დროს შეხვედრა გაიმართა საკრუინგო კომპანიის წარმოამდგენლებთან. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლებელთან აქვთ ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა, ხელშეკრულების საფუძველზე და ყოველწლიურად ასაქმებენ საკმაოდ დიდი რაოდენობის მეზღვაურს, რომელსაც დაწესებულება უგზავნის. ასევე აღინიშნა, რომ წელიწადში 1-2 ჯერ დაწესებულება მართავს შეხვედრას მათთან და ინტერესდება თუ რა სახის რეკომენდაციები და შენიშნები აქვთ. დამსაქმებლები კმაყოფილები არიან დაწესებულებასთნ თნამშრომლობით და აღნიშნეს, რომ დაწესებულება ყოველთვის მზად არის მეზღვაურისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნისთვის

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებით;
- დამსაქმებელ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებებით;
- დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგებით;
- საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების დებულება;
- შპს ბუსსს ანრის პოლიტიკა და მიზნები (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი;
- სასწავლებლის ვებ-გვერდი http://www.mtc-anri.edu.ge/
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა http://lms.mtc-anri.edu.ge/index.php

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საჭიროა პროგრამის შემუშავებისა და განხილვისათვის დარგის სპეციალისტებთან და კრუინგულ კომპანიებთან ჩატარებული მუშა შეხვედრების და კონსულტაციების დამადასტურებელი ჩანაწერების არსებობა, ამასთან დაკავშირებული სენატის გადაწყვეტილებები უნდა იყოს აღრიცხული ოქმების სახით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		ნაწილობრივ ნაწილობრივ შესაბამისობაშია	

- **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების

მიღება, რომლის საფუძველზეც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს და ირიცხება გამოცდების შედეგების კონკურსის საფუძველზე. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლის პუნქტ 2 „სპეციალურ მოთხოვნებში“ აღწერილია სპეციალური მოთხოვნები ჯანმრთელობის მდგომარეობის - სამედიცინო შემოწმების აუცილებლობის შესახებ, რომელიც გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია IMO-ს ნორმატიული დოკუმენტებითა და ეროვნული სამართლებრივი აქტით - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანებით „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.

- პროგრამის მე-4 პუნქტში „პროგრამაზე დაშვები წინაპირობა“ , ერთ-ერთ პუნქტში დაშვების წინაპირობად მითითებულია საქართელოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N215 /ნ (11.07.2007), თუმცა საზღვაო ინჟინერიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა იყოს როგორც ზემოთ ვთქვით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანებით „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.
- პროგრამის მიხედვით სავალდებულოა ინგლისური და რუსული ენების ცოდნა, თუმცა პროგრამის მიღების წინაპირობებში აღნიშნული მოთხოვნა არ არის, არ ითვალისწინებს იმ სტუდენტების მდგომარეობას რომლებიც სკოლაში სწავლობდნენ სხვა უცხო ენას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“: http://www.naec.ge/images/doc/kanonqvemdebare-eriani-erovnuli.pdf; • საგანმანათლებლო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია“; • სასწავლებლის მისია; • საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი); • სასწავლებლის ვებ-გვერდი http://www.mtc-anri.edu.ge/
რეკომენდაციები: • პროგრამაზე დაშვები წინაპირობაში ჩასწორდეს რომ დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა იყოს როგორც ზემოთ ვთქვით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანებით „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების დამტკიცების შესახებ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამაში უნდა ჩაიწეროს გარკვევით თუ რომელ დონეს სთავაზობს პირველ კურსელს სასწავლებელი თუ ის სკოლაში არ სწავლობდა არც რუსულს და არც ინგლისურს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- კრედიტები განაწილებულია საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა სახის კომპონენტს შორის (როგორიცაა მოდულები, კურსები, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა და ა.შ.). თითოეულ კომპონენტში სწავლების მეთოდი განპირობებულია სწავლის შედეგის შინაარსით. გამომდინარე იქედან რომ საგანმანათლებლო პროგრამის მთავარი მიზანია გემბანის ოფიცრის მომზადება, სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილია პრაქტიკულ და ჯგუფურ მეცადინეობებზე, რომელიც შეთავსებულია სასწავლო-ტრენაჟერულ და სასწავლო-საცურაო პრაქტიკებთან.საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდი: ლექცია, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, ლაბორატორიული პრაქტიკუმი, შემთხვევის ანალიზი, როლური და სიტუაციური თამაშები (რეალურ და ვირთუალურ ტრენაჟორებზე), დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, „სწავლება კეთებით“ და სხვა. სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც პროგრამის კომპონენტის კონკრეტული მეთოდი, ასევე ამ მეთოდთა კომბინაცია ისე, რომ მათ უზრუნველყონ

პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. თითოეული სასწალო კურსის სილაბუსში დაკონკრეტებულია, თუ სწავლების რა დამატებითი მეთოდები გამოიყენება დაგეგმილი შედეგის მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია“; • პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის და სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების მექანიზმები; • სასწავლებლის ვებ-გვერდი http://www.mtc-anri.edu.ge/ • სასწავლო პროცესის მართვის სისტემა http://lms.mtc-anri.edu.ge/index.php
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია საგანში „საზღვაო და სანაპირო ნავიგაცია“ სტუდენტები დამოუკიდებელი მეცადინეობების ნაწილში ასრულებდნენ საშინაო დავალებებს კომპონენტში - საზღვაო გადასვლის დაგეგმვა(Passage Plan), მისი სწავლების შედეგის მნიშვნელობიდან გამომდინარე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს თანმიმდევრული გადასვლის პრინციპს მარტივიდან რთულისკენ, საფუძვლებიდან ზოგად კურსებზე და მაპროფილებელ სასწავლო კურსებზე, შინაარსობრივი თანმიმდევრობის გათვალისწინებით. სილაბუსის ავტორი ითვალისწინებს პროგრამის კომპონენტებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირს და წინაპირობად მიუთითებს პროგრამის იმ უკვე შესწავლილ კომპონენტს, რომლებიც წარმოადგენენ კონკრეტული კომპონენტის შესწავლის წინაპირობას. პროგრამის კომპონენტების ნაწილს შესწავლის წინაპირობა არ გააჩნია. ინფორმაცია პროგრამის კომპონენტების შესწავლის თანმიმდევრობის და შესწავლის წინაპირობების შესახებ მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში. • პროგრამაში VIII სემესტრის 5 კრედიტიანი საგანი „საზღვაო საქმე“ თავისი შინაარსით არის შესავალი სპეციალობაში და მისი სწავლა მე-4 კურსზე არ არის გამართლებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა ‘საზღვაო ნავიგაცია“; • სილაბუსები; • სასწავლებლის ვებ-გვერდი http://www.mtc-anri.edu.ge/ • სასწავლო პროცესის მართვის სისტემა http://lms.mtc-anri.edu.ge/index.php
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის VIII სემესტრის 5 კრედიტიანი საგანი „საზღვაო საქმე“ რომლის არსი უფრო გავს სპეციალობის შესავალს, უნდა ისწავლებოდეს პირველი კურსის მე-2 სემესტრში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • სტუდენტის ცოდნის მოცულობისა და ხარისხის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: 1) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის №07/ნ ბრძა¬ნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და 2) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 აგვისტოს N102/ნ ბრძანება „2016 წლის 29 იანვრის №07/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. სტუდენტის ჯამური შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს: შუალედური შეფასებების ჯამი-მაქს. 60 ქულა(20 ქულა შუასემესტრული და 40 რეიტინგული) და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასება - მაქს.40 ქულა.

შუასემეტრული შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის 16 ქულა. სასწავლო კურსში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით. • სასწავლო კურსის/მოდულის წამყვანი პედაგოგი (მოდულის ლიდერი) უფლებამოსილია დაადგინოს შუასემესტრული შეფასების მიზანშეწონილი ფორმა. • შემოწმებულ იქნა სასწავლო ჟურნალი, სადაც იყო აღრიცხული გამოკითხვის შედეგები, თუმცა აღნუიშნული შეფასება არ შეესაბამებოდა სასაწავლო პროგრამებით დადგენილ ცოდნს შეფასების კრიტერიუმებს, რაზედაც გაგვენმარტა, რომ ჟურნალი იყო გასული წლის. მიმდინარე სასწავლო წელი ახალი დაწყებულია, შესაბამისად შეფასებები ახალი კრიტერიუმებით არ განხორციელებულა. • შეფასების ზოგად კრიტერიუმებს შეიმუშავებს სასწავლებლის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისი სტრუქტურა. კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია კრიტერიუმების დაზუსტება. • ყოველ სასწავლო დისციპლინაში/მოდულში სტუდენტზე კატეგორიის მინიჭება ხდება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც მიიღება შუასემესტრული შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეჯამებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია“; • სილაბუსები; • სასწავლებლის ვებ-გვერდი http://www.mtc-anri.edu.ge/ • სასწავლო პროცესის მართვის სისტემა http://lms.mtc-anri.edu.ge/index.php • ონლაინ გამოკითხვები http://mtc-anri.edu.ge/text.php?id=16&lang=ge ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საზღვაო ინდუსტრიის სწრაფი ტექნიკური განვითარების გამო პროგრამაში პერიოდულად მოხდეს ცვლილებების შეტანა, რათა ახალი მოთხოვნები და ინოვაციური მიდგომები სათანადოდ იყოს ასახული პროგრამაში და შესაბამის სილაბუსებში.
- მნიშვნელოვანია მოხდეს სილაბუსებში გაწერილი რეიტინგული შეფასების, ზეპირი და წერითი გამოცდების შედეგების ჟურნალში რეგისტრაციის პერიოდული შემოწმება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებისა და სასწავლებლის მიერ შემუშავებული დებულების საფუძველზე. ინფორმაცია მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსის „შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები“ ნაწილში. სტუდენტის ცოდნის შეფასების გამჭვირვალობას და შედეგებზე მის ინფორმირებულობას უზრუნველყოფს: ნორმატიული დოკუმენტი გამოცდების ჩატარების წესის შესახებ, „სასწავლო პროცესის მართვის სისტემის“ გამოყენება, სასწავლებლის ვებგვერდი, რომელიც წარმოადგენს

სასწავლებლის სტუდენტთა ვებ-პორტალს, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია. • სემესტრის დასაწყისში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სილაბუსს, რომელიც განთავსებულია სასწავლებლის ვებ გვერდზე და სილაბუსის დანართებს, რომლებიც ინახება საზღვაო სასწავლებლის ბიბლიოთეკაში. • საგამოცდო საკითხები ორიენტირებულია სწავლის შედეგებზე და საგამოცდო ბილეთში საკითხების შეტანა ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ ბილეთმა გამოავლინოს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა და არა საგნის რომელიმე ნაწილის ცოდნა. • ვიზიტის დროს დაისვა კითხვა, რამდენად უზრუნველყოფს ინგლისური ენის სასწავლო პროგრამის სილაბუსში მოცემული შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები პრაქტიკული/შემეცნებითი უნარების გამოვლენას დარგობრივი მახასიათებლის 1.10 პუნქტის შესაბამისად - საჭიროებს გადახედვას და კორექტირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგნობრივი სილაბუსები; • სასწავლებლის ვებ-გვერდი http://www.mtc-anri.edu.ge/ • სასწავლო პროცესის მართვის სისტემა http://lms.mtc-anri.edu.ge/index.php
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია ინგლისური ენის სასწავლო კურსის სილაბუსების გადახედვა და კორექტირება შეფასების ფორმების, მეთოდების, კომპონენტებისსა და კრიტერიუმების ნაწილში, რათა მოხდეს პრაქტიკული/შემეცნებითი უნარების გამოვლენა დარგობრივი მახასიათებლის 1.10 პუნქტის შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის

შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ √ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**		

- **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • სასწავლებლის ადმინისტრაცია სტუდენტებს უქმნის შესაბამის პირობას, რათა სტუდენტმა სწავლის პერიოდში წარმატებით მიაღწიოს პროგრამით დაგეგმილ სწავლის შედეგებს.

- სასწავლებლის განყოფილებაში: „სასწავლო განყოფილება-საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი“ დაშვებულია ხარისხის მართვის სისტემის სპეციალისტის შტატი. სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა სტუდენტებს დაეხმაროს სწავლების სისტემასთან ადაპტირებაში, სასწავლებლის ტრადიციების გათავისებაში, აწვდის მათ აუცილებელ ინფორმაციას სასწავლო პროცესის (აკადემიური კალენდარის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარების, სასწავლო ტრენაჟორების, პრეზენტაციების მომზადების წესი და სხვ.), ბიბლიოთეკით სარგებლობის, კომპიუტერული კლასების, სტუდენტთა თვითმმართველობის შესახებ. განუმარტავს სტუდენტებს მათ უფლება-მოვალეობებს, წესდებისა და შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის მოთხოვნებს, ეხმარება მათ სასწავლო პროცესის ორგანიზაციასა და დამოუკიდებელ მუშაობაში, აკონტროლებს მათი დისციპლინის მდგომარეობას, წარმართავს საქმიანობას სტუდენტებისადმი პერსონალური მიდგომის საფუძველზე, მათი ინდივიდუალური თვისებებისა და ცხოვრების პირობების გათვალისწინებით. ამ და სხვა საკითხების ორგანიზებასა და განხორციელებაში მას ეხმარება შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი. სტუდენტის მიღწევების გაუმჯობესებისა და სტუდენტსა და პედაგოგს შორის ინდივიდუალური მუშაობის გაზრდით მიზნით პროგრამის კომპონენტების განმახორციელებელ დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა/კონსულტაციები. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია მეცადინეობებისა და კონსულტაციისა და სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის (დრო და აუდიტორია განსაზღვრულის შესაბამისი სილაბუსებით) ცხრილები. საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის სტუდენტს უფლება აქვს შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით ისარგებლოს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

სრულყოფილი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველსაყოფად სასწავლებელი სტუდენტებს სთავაზობს: საერთო საცხოვრებელს, სპორტულ სექციებში გაწევრიანების შესაძლებლობას, სხვადასხვა სახის კულტურულ, შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას და სხვა. • სასწავლო განყოფილების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვებს საზღვაო აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კითხვარების საფუძველზე. გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე ფაკულტეტისა და აკადემიის ადმინისტრაცია გეგმავს და ახორციელებს სწავლებისა და საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლებლის მისია; • საგანმანათლებლო პროგრამა: „საზღვაო ნავიგაცია“ • საქართველოს კანონი მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1556226 • სასწავლებლის ვებ-გვერდი http://www.mtc-anri.edu.ge/ • სასწავლო პროცესის მართვის სისტემა http://lms.mtc-anri.edu.ge/index.php • ონლაინ გამოკითხვები http://mtc-anri.edu.ge/text.php?id=16&lang=ge ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- აკადემიური პერსონალის მიღება ხორციელდება სასწავლებლის მიერ შემუშავებული „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების“ შესახებ დებულების („დებულების“) საფუძველზე. საკონკურსო პირობებში გათვალისწინებულია ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც საჭიროა სტუდენტების მომზადებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.
- საზღვაო სასწავლებელში აკადემიური პერსონალის წლიურ დატვირთვაში საათების გარკვეული ნაწილი ეთმობა სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას და კონსულტაციებს. სასწავლო პროცესი სასწავლებელში ორგანიზებულია ისეთნაირად, რომ დღის ერთ-ერთ ნახევარში სტუდენტები ესწრებიან ცხრილით დადგენილ მეცადინეობებს, ხოლო მეორე ნახევარში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. სტუდენტების დასწრება ინდივიდუალურ მუშაობაზე არის ნებაყოფილობითი და მისი მიზანია დაეხმაროს აკადემიურად ჩამორჩენილ სტუდენტებს პროგრამის ათვისებაში, ან წარმატებულ სტუდენტებს პროგრამის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვები (ადგილზე დათვალიერება);
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა http://lms.mtc-anri.edu.ge/index.php

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასწავლებელმა ორგანიზება უნდა გაუკეთოს ინდივიდუალურ მეცადინეობებს იმ პირებისთვის, რომლებსაც ესაჭიროება დამატებითი მეცადინეობები. მეცადინეობების დრო წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • ვიზიტის დროს სტუდენტებთან შეხვედრისას გაირკვა რომ კვლევითი პროექტები საზღვაო თემატიკა (საშინაო დავალება, საკურსო სამუშაო) სასწავლებელში არ სრულდება, მიუხედავად იმისა რომ სასწავლებლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სტუდენტთა ხელშეწყობის ღონისძიებებსა და კონფერენციებში მონაწილეობაზე გამოყოფილი ხარჯები. საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის დოკუმენტში გაწერილია ხარჯები, რომელიც განკუთვნილია სპორტული, შემეცნებითი,

აღმზრდელობითი, სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში და სხვ. ხარჯები. აქედან გამომდინარე, სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება ინტერესების მიხედვით, მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ კონფერენციებში, ოლიმპიადებში, სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში, სხვადასხვა კონკურსებში და ა.შ. სასწავლებელში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა შემეცნებითი სახის ღონისძიებები. გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებიც სიგელებით ჯილდოვდებიან; გარდა ამისა, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სასწავლებლის მიერ ორგანიზებულ აღმზრდელობითი სახის კულტურულ-მასობრივ, სპორტულ ღონისძიებებში, სხვა სასწავლებლებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ მასობრივ ღონისძიებებში. • „საზღვაო ნავიგაციის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის 8.1 პუნქტის (სწავლისა და სტუდენტური ცხოვრებისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები) მიხედვით, სპეციალობის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლების მიზნით სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო გემი თ/მ „კაპიტანი ოთარ ჩახვაძე“, რომელზეც სტუდენტები გაივლიან სასწავლო და საცურაო პრაქტიკებს ბათუმის აკვატორიაში. •
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლებელში ჩატარებული ღონისძიებები; • ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტთა მასალები; • სასწავლებლის 2017 წლის ბიუჯეტი; • უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა (2016-17 ს.წ.) • სასწავლო პროცესის მართვის სისტემა http://lms.mtc-anri.edu.ge/index.php
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სასწავლებელმა ხშირად მოაწყოს სტუდენტური კონფერენციები საზღვაო თემატიკაზე. სტუდენტებს აგრეთვე დაევალოს საშინაო დავალებების შესრულება საზღვაო ნავიგაციის სპეციალურ საგნებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • საგანმანათლებლო პროგრამა - საზღვაო ნავიგაცია ამზადებს საზღვაო ფლოტის ოფიცრებს, რომელთა დასაქმების არეალს წარმოადგენს სავაჭრო ფლოტის გემები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მეზღვაურთა ოფიციალურ სამუშაო ენას წარმოადგენს ინგლისური ენა. ამითაა განპირობებული საგანმანათლებლო პროგრამაში დატვირთვის მნიშვნელოვანი ნაწილის დათმობა ინგლისური ენის შესწავლაზე. • საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება კადრების მომზადების საქმეში ხორციელდება სასწავლებლის მჭიდრო თანამშრომლობით

სხვადასხვა ავტორიტეტულ საზღვაო სასწავლებლებთან. •
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლებლის პერსონალისათვის განკუთვნილი შემოწმებები, მომზადება-გადამზადებები, სემინარები, ღია ლექციები და ა.შ. დასწრების აღრიცხვის ჟურნალი №05-101; (ადგილზე დათვალიერება) • ხარისხის მენეჯმენტის სერტიფიკატი ISO 9001:2015; • საერთაშორისო საზღვაო უნივერსიტეტების ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატი; • უსაფრთხოებისა და თვითგადარჩენის ტრენირების საერთაშორისო ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატი; • ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი; • კერძო კოლეჯების ასოციაციის ასოცირებული წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სასწავლებელმა ხშირად მოაწყოს სტუდენტური კონფერენციები საზღვაო თემატიკაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**		

- **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • სასწავლებელი ფლობს ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სერტიფიკატს, რომელიც მას ავალდებულებს საერთაშორისო სტანდარტებთან ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური რესურებისა და საგანმანათლებლო პროგრამების რესურსებით უზრუნველყოფის შესაბამისობას. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში გაწერილია მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსებისადმი, რომლებიც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამასა და ცალკეული სასწავლო კურსის სილაბისებში. სასწავლებელს საკუთრებაში აქვს ერთ მისამართზე განლაგებული – 1484 კვ.მ. მიწის ერთიანი ფართი – 6 სართულიანი სასწავლო

კორპუსი საერთო ფართით 3200,50 კვ.მ. მის გვერდით მდებარეობს მეორე კორპუსი, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 570,7 კვ.მ., რომელშიც სტუდენტთა და მასწავლებელთა საერთო საცხოვრებელია განთავსებული. სასწავლო ფართი მოიცავს: აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, კომპიუტერულ კლასს, ბიბლიოთეკას, სპორტულ დარბაზს, პროფესორ–მასწავლებელთა ოთახს, სამანქანე განყოფილებასა და მასთან არსებულ სასწავლო სახელოსნოებსა და საამქროებს (სასწავლო პრაქტიკების ჩასატარებლად), გემის რეალურ ტრენაჟერს, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟერს, სამაშველო ტივსა და კანჯოს; სამედიცინო პუნქტს, სასწავლო-სამგზავრო გემი „კაპიტანი ო. ჩახვაძე“-სა და თბომავალ “PERA”-ს (საიჯარო ხელშეკრულება). სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორებით, სპეციალური სასწავლო ტრენაჟერებით და სხვ. ტრენაჟერულ კლასებში ჩატვირთულია სპეციალური ინტერაქტიული და მულტიმედიური პროგრამები. სასწავლებელმა შეიძინა ორი მოტონავი და სარეიდო იახტა, მოაწყო საჭირო ინვენტარით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი, კეთილმოწყობილი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი და სტუმართა მისაღები ოთახები. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან წარმოადგენს პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორს და პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და ამოქმედების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან წარმოადგენს პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორს და პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და ამოქმედების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს. კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში „საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ რესურსებისადმი მოთხოვნებში“ სათანადოდ არის ასახული სავალდებულო სასწავლო

სიმულატორების აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, პროგრამა ან სილაბული არ შეიცავს ინფორმაციას:

- რა სახით ხორციელდება სიმულატორთან დაკავშირებული ამოცანების/დავალებების შემუშავება, განხორციელება და შეფასება;
- რამდენად შეესაბამება სიმულატორზე დაფუძნებული პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოები უშუალოდ სასწავლო კურსის შინაარსს.

მოქმედმა სტუდენტებმა, სილაბუსის ავტორებმა თუ სასწავლო კურს(ებ)ის განხორციელებაში მონაწილე პირებმა გამოკითხვისას დაადასტურეს, რომ გაკვეთილებზე ხორციელდება აღნიშნული სიმულატორების გამოყენება, როგორც პრაქტიკული დავალებების განსახორციელებლად, ასევე მიღწეული კომპეტენციის დონის დასადასტურებელად, დარგობრივი მახასითებლების მე-3 პუნქტის - „დარგობრივი კომპეტენციები (დარგობრივი ცოდნა და უნარები)“ შესაბამისად. სიმულატორების ადგილზე შემოწმებისას დადგინდა, რომ სიმულატორის ელექტონულ ბაზაში ინახება სხვადასცვა სიტუაციების ამსახველი ამოცანები, რომლებიც აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებს, შედეგებს და შეესაბამება კომპეტენცის მიღწევის სპეციფიკურ მეთოდებს.

- „დებულების“ 4.2.2, 4.2.3 და 6.2 პუნქტები ითვალისწინებს, საქართველოს „უმაღლესი განათლების კანონის“ 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პირის (გემის კაპიტანი ან უფროსი მექანიკოსი) არჩევას. ამასთან დაკავშირებით, არჩეული აკადემიური პერსონალის მხოლოდ 5 წევრს აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო ან სასწავლო მეთოდური ნაშრომები. დანარჩენთა კვალიფიკაცია დასტურდება მხოლოდ პროფესიული გამოცდილებით, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების“ შესახებ კანონის შესაბამისად მინიჭებული

ლიცენზიით (კომპეტენციის სერტიფიკატი) და დარგობრივი მომზადების სერტიფიკატებით (კვალიფიკაციის სერტიფიკატები) ასევე დაგროვილი ნაოსნობის სტაჟის დამადასტურებელი ცნობით და სხვა გავლილი სპეც. მომზადებებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საზღვაო სასწავლებლის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერების შედეგებით. • ვებგვერდის ფოტოგალერეა; • მცურავი საშუალებების სასწავლო გემის „კაპიტან ო. ჩახვაძის“ დებულება და ტექნიკური დოკუმენტაცია; • ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ 2017 წლის მდგომარეობით (ინვენტარიზაციის აქტები, მიღება-ჩაბარების აქტები, შესყიდვის დამადასტურებელი დოკუ¬მენ-ტები და სხვ). (ადგილზე დათვალიერება).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური და საზღვაო დარგის კადრებით, რომელთაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენციები. აკადემიური პერსონალის მიღება სასწავლებელში ხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე. საკონკურსო პირობებში გათვალისწინებულია ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც საჭიროა სტუდენტების მომზადებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. • პროგრამის განხორციელებაში დაკავებულია: პროფესორი - 2; ასოცირებული პროფესორი -3; ასისტენტ პროფესორი - 2; 4- მოწვეული მასწავლებლები (მათ შორის საზღვაო დარგის სპეციალისტები); სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან პედაგოგიური კადრების მოზიდვისა და მასწავლებელთა გაცვლის მიზნით გაფორმებულია ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მათ შორის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან და შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან“. • არჩეული აკადემიური პერსონალის მხოლოდ 4 წევრს აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო ან სასწავლო მეთოდური ნაშრომები. დანარჩენთა კვალიფიკაცია დასტურდება მხოლოდ პროფესიული გამოცდილებით, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების“ შესახებ კანონის

შესაბამისად მინიჭებული ლიცენზიით (კომპეტენციის სერტიფიკატი) და დარგობრივი მომზადების სერტიფიკატებით (კვალიფიკაციის სერტიფიკატები) ასევე დაგროვილი ნაოსნობის სტაჟის დამადასტურებელი ცნობით და სხვა გავლილი სპეც. მომზადებებით. • სასწავლო კურსის სილაბუსები შემუშავებულია აკადემიური პერსონალის მიერ; განხორციელაბაში მონაწილეობენ მოწვეული მასწავლებლებიც. უფროსი მასწავლბლისა და მასწავლებლის სტატუსით სასწავლებელში დასაქმებული არიან საზღვაო დარგის პროფესიონალები, რომელთა ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში ემყარება „მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პედაგოგიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; • დასაქმებულთა პირადი საქმეები; • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები; • პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მიზანშეწონილია დაწესებულებამ სალექციო კურსის წარმართვაში უპირატესობა მიანიჭოს არჩეულ აკადემიურ პერსონალს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა ☐ √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს სათანადო კომპეტენციების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, პროგრამის განხორციელებისთვის სათანადო პირობების შექმნას, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის დაგეგმვასა და განხორციელებას. ცალკეული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სფერო, მიზნები და ძირითადი ფუნქციები რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით და სამსახურეობრივი ინსტრუქციებით. შეფასებითი საქმიანობის ფარგლებში სასწავლებლის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს მონიტორინგს და ადგენს, თუ რამდენად ეფექტურად ხდება სტრუქტურული ერთეულების მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლებლის სტრუქტურა; • პერსონალის ატესტაციის ჩატარების დებულება; • ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი; • სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების დებულებები, ადმინისტრაციული და დამხმარე პერ¬სონალის პირადი საქმეები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • არსებული სასწავლო მასალა თანადობაშია დარგის მიღწევებთან და საერთაშორისო და ნაციონალური მარეგულირებელი დოკუმენტაციის მოთხოვნებთან, რაც განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას. სასწავლებელში ყოველწლიურად ხდება სასწავლო მასალის განახლება/შევსების პროცესი. საგანმანათლებლო პროგრამაში დიდი დოზითაა გათვალისწინებული უცხო ენების (ინგლისური და რუსული) შესწავლა, რაც შესაძლებელს ხდის თანამედროვე

ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი სასწავლო მასალის გამოყენებას. მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო ვიდეო მასალის, თვალსაჩინოებისა და სპეციალური კომპიუტერული პროგრამების განახლება, თანამედროვე სახელმძღვანელოებით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება, ახალი მეთოდური მითითებების, ლექციების კურსისა და რიდერების, ან სახელმძღვანელოების მომზადება-გამოცემა. სასწავლებელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს სხვადასხვა სასწავლო უნივერსიტეტებთან და საწვრთნელ ცენტრებთან საბიბლიოთეკო ფონდებში არსებული ლიტერატურით სარგებლობის მიზნით.

- გამოკითხვისას სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ ქართული სახელმძღვანელოს არ არსებობის გამო, ზოგ საგანში უწევთ ლექტორის მიერ ნაკარნახევის მიხედვით კონსპექტების კეთება, თუმცა ვერ დაასახელეს, კონკრეტულად რომელი ლექტორი ითხოვს ე.წ. „კონსპექტების“ ჩაწერას. ადგილზე განხილულ იქნა ორი, ქართულ ენაზე შესრულებული რიდერის, „გემის მართვა და მანევრირება - სალექციო კურსი“ და „საზღვაო ნავიგაცია განსაკუთრებულ პირობებში“ (ა. ესანჯია, ა. ფუტკარაძე, ბათუმი 2016 წ.). დადგინდა რომ შინაარსი შეესაბამება იმ სილაბუსის პროგრამებს, რომლებშიც ეს სახელმძღვანელოები წარმოადგენენ ძირითად ლიტერატურას.
- საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია - IMO დაინტერესებულია, რომ გემებზე სამუშაოდ დაშვებული იქნან მხოლოდ კარგად მომზადებული მეზღვაურები, რომლებსაც ექნებათ თანამედროვე გემების ტექნიკური აღჭურვილობის გამართული ექსპლუატაციისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფისათვის საჭირო უნარ ჩვევები. გამომდინარე აქედან IMO ახორციელებს არა მხოლოდ უკვე მომზადებული მეზღვაურების კვალიფიკაციის მონიტორინგს, არამედ თავად უწევს დახმარებას

მეზღვაურთა მომზადების ცენტრებს სხვადასხვა სახის სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის (IMO model courses) გამოცემით, რომელშიც ასახულია მოწინავე მიღწევები და ინოვაციები საზღვაო ტრანსპორტის სფეროში და მეზღვაურთა მომზადების პროცესში. •
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, კატალოგები, სასწავლო მასალების ელექტრონული ბაზა (ადგილზე დათვალიერებით); • სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს ქართულ ენაზე შესრულებული სახელმძღვანელოების და რიდერების გამოშვებას და სტუდენტებისთვის მათ მიწოდებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • მეზღვაურთა მომზადების პროცესში სასწავლებელი გამოიყენებს IMO-ს მიერ რეკომენდებულ საწვრთნელ აღჭურვილობას, რომელსაც თვითონ შეიძენს, ამიტომ პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფაში მოიაზრება შემდეგი ასპექტები: მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლება, სპეციალური მომზადების კაბინეტების და ტრენაჟორული ცენტრების თანამედროვე აპარატურით, სიმულატრებით და სპეციალური კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვა და სხვ. გარდა ამისა, სასწავლებლის საკუთრებაში მყოფი ორი მოტონავის, ერთი კატარღისა და საწავლო გემი „კაპიტანი ო. ჩახვაძე”-ს აღჭურვისა და ტექნიკური მომსახურების დაფინანსება. • საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა (ერთ სტუდენტზე გათვლილი ხარჯთაღრიცხვა) კურსების მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინფორმაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ; • სასწავლებლის 2017 წლის ბიუჯეტი; • სტრატეგიული და სამუშაო გეგმები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის

შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**		

- **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

• მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება „ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის" დებულებით. გარდა ამისა, სასწავლებელში დანერგილია ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემა ISO 9001:2015, რომელიც ატარებს

შიდა აუდიტს და მას უტარდება გარე აუდიტი ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისობაზე. საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების (მოდულების) სილაბუსების და სწავლების ფორმების და ზოგადად სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, რომელთა ანალიზით ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს გამოვლენილი შეუსაბამობების მაკორექტირებელი ღონისძიებების რეკომენდაციებს. რეკომენდაციების გათვალისწინებით კი სასწავლო განყოფილება ამზადებს ცვლილებების პროექტს საგანმანათლებლო პროგრამებში. ამგვარად, სასწავლებელში ნორმატიულად უზრუნველყოფილია "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლი. • შემოწმებული იქნა ხარისხის მართვის სისტემა, სადაც უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას გაწერილია აქვს ყველა პროცესი, ხდება სტრუქტურული ერთეულების აუდიტი და შესაბამისი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე მუშაობა. აუდიტის დასკვნის გატანა ხელმძღვანელობის შემაჯამებელ სხდომაზე, სადაც განიხილება ყველა საკითხი და იგეგმება შემდგომი გაუმჯობესების ქმედებები. ხარისხის მართვის სისტემა არის ერთ-ერთი ძლიერი მხარე მოცემული დაწესებულების.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის ჩატარების პროცესის პროცედურა; • ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

• შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • სასწავლებელში დანერგილია ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემა ISO-ს ვერსიით და მინიჭებული აქვს IQNet-ის და ISO 9001:2015 სტანდარტის ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემის სერტიფიკატები. • შიდა შეფასების ერთ-ერთი მექანიზმია მასწავლებელთა ურთიერთდასწრებები, რომელიც ტარდება ყოველწლიურად წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული განრიგის მიხედვით. ყოველი ღია ლექციის ჩატარების შემდეგ ფორმდება შესაბამისი აქტი. გარდა ამისა, ტარდება ანონიმური გამოკითხვები (ანკეტური და ონ-ლაინ რეჟიმში), გამოკითხვის შედეგები განიხილევა სენატის სხდომაზე და მიიღება შესაბამისი ღონიშძიებები. ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში ორჯერ ატარებს მონიტორინგს, აკეთებს დასკვნებს და იძლევა რეკომენდაციებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის

გასაუმჯობესებლად. გაწეულ საქმიანობას აჯამებს, რომელსაც თავს უყრის შემდეგ ყოველწლიურ დოკუმენტში: შპს „ბუსსს ანრი“-ს ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი; • გარე შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია ავტორიზაცია და მონიტორინგის ჯგუფის შემოწმების ანგარიშები. • ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად რეგულარულად ატარებს პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვებს. • შევსებული კითხვარების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს რეკომენდაციებს, რომლებიც წარედგინება სასწავლო განყოფილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი; • შპს „მეგა M“-ის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საჭიროა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა რეგულარული მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო საშუალებების შეფასების პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისო-ბაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საიჯინრო სასწავლებელი „ანრი“.
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია“
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 63

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
3. სტუდენტთა მიღწევები,	შესაბამისობაშია		

მათთან ინდივიდუალური მუშაობა	მოთხოვნებთან		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
საბოლოო შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შოთა კუნჭულია

ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ქრისტინა რზგოევა

ექსპერტთა ჯგუფის წევრი: გივი ციცქიშვილი



ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ლაშა დიასამიძე